



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის დს-შ/7-16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ წულუკიძე (სტუდენტი)

ფაქტები

სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ადვოკატმა წინასასამართლო სხდომამდე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ წარადგინა მტკიცებულებები. ადვოკატმა ყოფილი კლიენტის საჩივრის საპასუხოდ, ეთიკის კომისიაში წარდგენილ განმარტებაში ყოფილი კლიენტი მოიხსენია შემდეგი ფრაზებით: „ისეთ პიროვნებას და ქურდული ტრადიციების მიმდევარს, როგორც ხ-ა არავინ გაამართლებს; ბოროტი ქალი ც. ხ-ი; მართლა უმეცარი და გაუნათლებელი ქალია ც. ხ-ი და ამას ჩემთან ამბობდა მისი შვილი რ-ც კი, რომელიც მთხოვდა, რომ მხოლოდ მასთან მელაპარაკა საქმეზე, დედამისს არ ენდობოდა არაფერში, რაც მე ძალიან მიკვირდა, ახლა აღარ მიკვირს; ესე გადამიხადა სიკეთე ამ ნამძირალა, ფულზე დახარბებულმა კრიმინალმა; რ. ხ-ს პირველი ცოლ-შვილი მიტოვებული ჰყავს; ეს არის შანტაჟი და ჩემზე ფულის გამოძალვა“.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ კანონი (მუხლი 5.ა და 5.გ) და აპეკ-ი (მუხლი 9.1 და 8.5), კერძოდ: კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება, ვინაიდან ადვოკატმა ვერ დაიცვა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები და გაუშვა მტკიცებულებათა წინასასამართლო სხდომამდე გაცვლის ვადა. პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება, ვინაიდან დისციპლინურ წარმოებაში ყოფილი კლიენტი განიხილება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარედ და მის მიმართ ეთიკური ქცევის ვალდებულება გააჩნია, ხოლო ადვოკატის მიერ წერილობით წარდგენილ პოზიციაში გაჟღერებული შეფასებები კომისიამ შეურაცხმყოფელად მიიჩნია. ადვოკატის დაეკისრა დისციპლინური სახდელის ფორმა - გაფრთხილება, რაც მის მიერ გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. ადვოკატმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან მას მხოლოდ 2 წლის შემდეგ ჩაჰზარდა იგი და რადგან კომისიას გადაწყვეტილება არ გამოუცხადებია მხარეებისთვის, მას ამ პერიოდის განმავლობაში არ ჰქონდა ინფორმაცია მისი დისციპლინირების შესახებ.

სამართლებრივი შეფასება

პალატამ მიიჩნია, რომ საქმე თავიდან განსახილველად უნდა დაბრუნებულიყო ეთიკის კომისიაში ადვოკატისთვის არაპროპორციული სახდელის დაკისრების გამო: კერძოდ, პალატამ გაიზიარა კომისიის პოზიცია ადვოკატის მიერ კვალიფიციურად მომსახურების სტანდარტის დარღვევის შესახებ, თუმცა ვინაიდან არ დამდგარა ზიანი და საბოლოოდ სასამართლომ დაცვის მხარის მასალები დაუშვა მტკიცებულებებად, მიიჩნია, რომ აღნიშნული ადვოკატის მიმართ გამოყენებული სახდელის ზომის შერჩევის დროს უნდა გათვალისწინებულიყო. პალატის განმარტებით, დისციპლინური სახდელის შერჩევისას, გადაცდომის სიმძიმე, ასევე გადაცდომაში ადვოკატის ბრალი და მისი ხარისხი ერთობლიობაში უნდა განაპირობებდეს სახდელის გადაცდომასთან შესაბამისობას, რაც ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით არ დადგინდა.

¹ <https://gba.ge/pdf/5c4c0b7abc12f.pdf/5c4c0b7abc12f.pdf>

პალატამ გაიზიარა კომისიის პოზიცია ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის, როგორც პროცესის მონაწილის უპატივცემულობაზე და განმარტა: გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს საქმიანობას. ეს უფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა. ადვოკატის მიერ გამოთქმული ფრაზები, საჩივრის ავტორის (ყოფილი კლიენტის) მიმართ შეურაცხმყოფელია და ლახავს პირის ღირსებას, რაც მიიჩნევა ადვოკატის მიერ დისციპლინური წარმოების პროცესში კლიენტის უფლებების შელახვად - პროცესის მონაწილისადმი პატივისცემის ვალდებულების დარღვევად. პალატამ ყურადღება გაამახვილა დისციპლინური წარმოების პროცედურულ დარღვევებზე და უხემ დარღვევად შეაფასა ადვოკატისთვის ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 წლის დაგვიანებით ჩაბარება, ასევე ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ადვოკატს არ ჰქონდა ინფორმაცია მისი დისციპლინირების შესახებ, რაც ასევე პალატის გადაწყვეტილების ერთ-ერთი არსებითი საფუძველი გახდა.

დასკვნა

ადვოკატის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და პროცედურული დარღვევების გამო დისციპლინური საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ეთიკის კომისიას.